ირაკლი შამათავა

კაზიმიერზ ვიელკის უნივერსიტეტი, პოლონეთი

ერაზმუს+ აკადემიური პერსონალის მობილობის პროგრამის ფარგლებში, კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის პროფესორი ირაკლი შამათავა იმყოფებოდა პოლონეთში, კაზიმიერზ ვიელკის უნივერსიტეტში, პოლონეთი.

ვიზიტის ფარგლებში მან ჩაატარა სალექციო კურსები, რომლებიც შეეხებოდა ქართულ სანოტარო სისტემას, მის ტრანსფორმაციას პოსტ-საბჭოთა პერიოდიდან დღემდე. შედარებითი სამართლის კონტექსტში განხილულ იქნა კონტინენტური სამართლის ქვეყნების გამოცდილება, მათ შორის ლათინური ტიპის ნოტარიატის მოდელი.

პროგრამამ მნიშვნელოვანი შესაძლებლობა შექმნა საერთაშორისო აკადემიურ სივრცეში კვლევის თანამედროვე მეთოდების გაცნობისთვის, განსაკუთრებით ტექნოლოგიური ინსტრუმენტების მიმართულებით.

ლექციებისა და აკადემიური აქტივობების პარალელურად, ირაკლი შამათავამ მონაწილეობა მიიღო პროფესორებთან და სტუდენტებთან გამართულ დისკუსიებში. იგი ასევე გაეცნო უნივერსიტეტის კამპუსებს, ინფრასტრუქტურასა და საბიბლიოთეკო რესურსებს. როგორც სამეცნიერო ჟურნალის მთავარი რედაქტორისთვის, მისთვის განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა საუნივერსიტეტო პერიოდული გამოცემები და სამართლის მიმართულებით არსებული სამეცნიერო პუბლიკაციები.

ვიზიტი მნიშვნელოვანი იყო როგორც სამომავლო აკადემიური თანამშრომლობის გაღრმავების, ისე ახალი კვლევითი მიმართულებების განვითარების თვალსაზრისით.